

შპს „თბილისის ცენტრალური ლაბორატორია“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში	1
---	---

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	4
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	5
განმარტებითი შენიშვნები	6

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ქართულ ლარში („ლ“).

შპს „თბილისის ცენტრალური ლაბორატორია“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ათას ქართულ ლარში

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „თბილისის ცენტრალური ლაბორატორიის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („IFRS“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული IFRS-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები IFRS-დან წარმოდგენილი და ახსნილი; და
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება IFRS-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებული 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2020 წლის 28 სექტემბერს.

ქეთევან ლომიძე

დირექტორი

დავით ადეიშვილი

რეპორტირების და ანალიზის სამსახურის უფროსი

შპს „თბილისის ცენტრალური ლაბორატორია“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ათას ქართულ ლარში

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „თბილისის ცენტრალური ლაბორატორიის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („IFRS“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული IFRS-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები IFRS-დან წარმოდგენილი და ახსნილი; და
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება IFRS-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებული 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2020 წლის 28 სექტემბერს.



ქეთევან ლომიძე

დირექტორი

დავით ადიგაშვილი

რეპორტირების და ანალიზის სამსახურის უფროსი

შპს „თბილისის ცენტრალური ლაბორატორია“
 ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ათას ქართულ ლარში

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	გ/შ	2019	2018
საოპერაციო შემოსავალი	4	2 047	1 727
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	5	(1 424)	(1 380)
საერთო მოგება		623	347
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(435)	(365)
ფინანსური ხარჯი, წმინდა	6	(16)	(4)
სხვა შემოსავალი/ხარჯი		(1)	-
მოგება/(ზარალი) საკუროსო სხვაობიდან, წმინდა		(67)	(6)
წლიური მოგება/(ზარალი)		104	(28)

ფინანსური ანგარიშგება მომზადებული 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2020 წლის 28 სექტემბერს.

ქეთევან ლომიძე

დირექტორი

დავით ადუიშვილი

რეპორტირების და ანალიზის სამსახურის უფროსი

შპს „თბილისის ცენტრალური ლაბორატორია“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ათას ქართულ ლარში

სრული შემოსავლის ანგარიშგება


2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	გ/შ	2019	2018
საოპერაციო შემოსავალი	4	2 047	1 727
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	5	(1 424)	(1 380)
საერთო მოგება		623	347
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(435)	(365)
ფინანსური ხარჯი, წმინდა	6	(16)	(4)
სხვა შემოსავალი/ხარჯი		(1)	-
მოგება/(ზარალი) საკუთროსო სხვაობიდან, წმინდა		(67)	(6)
წლიური მოგება/(ზარალი)		104	(28)

ფინანსური ანგარიშგება მომზადებული 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2020 წლის 28 სექტემბერს.

ქეთევან ლომიძე

დირექტორი



დავით ადუიშვილი

რეპორტირების და ანალიზის სამსახურის უფროსი

შპს „თბილისის ცენტრალური ლაბორატორია“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ათას ქართულ ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	გ/შ	31.დეკ.19	31.დეკ.18
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	232	375
არამატერიალური აქტივები		37	43
		269	418
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8	195	135
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	3 027	2 537
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	20	1
		3 242	2 673
სულ აქტივები		3 511	3 091
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		979	875
		979	875
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხი	11	139	139
		139	139
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხი	11	34	133
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	2 359	1 944
		2 393	2 077
სულ ვალდებულებები		2 532	2 216
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		3 511	3 091

ფინანსური ანგარიშგება მომზადებული 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2020 წლის 28 სექტემბერს.

ქეთევან ლომიძე

დირექტორი

დავით ადეიშვილი

რეპორტირების და ანალიზის სამსახურის უფროსი

შპს „თბილისის ცენტრალური ლაბორატორია“
 ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ათას ქართულ ლარში
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	გ/შ	31.დეკ.19	31.დეკ.18
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	232	375
არამატერიალური აქტივები		37	43
		269	418
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8	195	135
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	3 027	2 537
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	20	1
		3 242	2 673
სულ აქტივები		3 511	3 091
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		979	875
		979	875
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხი	11	139	139
		139	139
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხი	11	34	133
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	2 359	1 944
		2 393	2 077
სულ ვალდებულებები		2 532	2 216
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		3 511	3 091

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელების მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2020 წლის 28 სექტემბერს.

ქეთევან ლომიძე
 დირექტორი

დავით ადუიშვილი
 რეპორტირების და ანალიზის სამსახურის უფროსი

შპს „თბილისის ცენტრალური ლაბორატორია“
 ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ათას ქართულ ლარში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	903	903
წლიური მოგება	(28)	(28)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	875	875
წლიური მოგება	104	104
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	979	979

ფინანსური ანგარიშგება მომზადებული 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2020 წლის 28 სექტემბერს.

ქეთევან ლომიძე

დირექტორი

დავით ადეიშვილი

რეპორტირების და ანალიზის სამსახურის უფროსი

შპს „თბილისის ცენტრალური ლაბორატორია“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ათას ქართულ ლარში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	903	903
წლიური მოგება	(28)	(28)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	875	875
წლიური მოგება	104	104
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	979	979

ფინანსური ანგარიშგება მომზადებული 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2020 წლის 28 სექტემბერს.



ქეთევან ლომიძე

დირექტორი

დავით ადეიშვილი

რეპორტირების და ანალიზის სამსახურის უფროსი

შპს „თბილისის ცენტრალური ლაბორატორია“
 ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ათას ქართულ ლარში

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლიური მოგება	104	(28)
კორექტირებები:		
- მოთხოვნების გაუფასურება	6	-
- ცვეთა და ამორტიზაცია	156	157
- საპროცენტო ხარჯი	22	4
- საპროცენტო შემოსავალი	(5)	(24)
- მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა	67	6
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა/(შემცირება)	(497)	(709)
სასაქონლო-მატერიალური მარაგების ზრდა/(შემცირება)	(60)	50
სავაჭრო ვალდებულებების შემცირება/(ზრდა)	365	696
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული ფულადი სახსრები	158	152
 გადახდილი პროცენტი	(23)	(4)
საპროცენტო შემოსავალი	5	24
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები	140	172
 ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(1)	(62)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	1	-
არამატერიალური აქტივების შეძენა	(7)	(9)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(7)	(71)
 ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხების მიღება	180	-
სესხების გადახდა	(294)	(103)
საფინანსო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები	(114)	(103)
 წმინდა ზრდა/(კლება) წლის განმავლობაში	19	(2)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	1	3
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	20	1

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2020 წლის 28 სექტემბერს.

ქეთევან ლომიძე

დირექტორი

დავით ადგიშვილი

რეპორტირების და ანალიზის სამსახურის უფროსი

შპს „თბილისის ცენტრალური ლაბორატორია“
 ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ათას ქართულ ლარში

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლიური მოგება	104	(28)
კორექტირებები:		
- მოთხოვნების გაუფასურება	6	-
- ცვეთა და ამორტიზაცია	156	157
- საპროცენტო ხარჯი	22	4
- საპროცენტო შემოსავალი	(5)	(24)
- მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა	67	6
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა/(შემცირება)	(497)	(709)
სასაქონლო-მატერიალური მარაგების ზრდა/(შემცირება)	(60)	50
სავაჭრო ვალდებულებების შემცირება/(ზრდა)	365	696
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული ფულადი სახსრები	158	152
გადახდილი პროცენტი	(23)	(4)
საპროცენტო შემოსავალი	5	24
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები	140	172
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(1)	(62)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	1	-
არამატერიალური აქტივების შეძენა	(7)	(9)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(7)	(71)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხების მიღება	180	-
სესხების გადახდა	(294)	(103)
საფინანსო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები	(114)	(103)
წმინდა ზრდა/(კლება) წლის განმავლობაში	19	(2)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	1	3
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	20	1

ფინანსური ანგარიშგება მომზადებული 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2020 წლის 28 სექტემბერს.

ქეთევან ლორთქიფაძე

დირექტორი



დავით ადიშვილი

რეპორტირების და ანალიზის სამსახურის უფროსი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

“თბილისის ცენტრალური ლაბორატორია” (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანია მომხმარებელს სთავაზობს თითქმის ყველა სახის სამედიცინო ლაბორატორიულ გამოკვლევას, მათ შორისაა: იმუნოლოგია, ბიოქიმია, ბაქტერიოლოგია, ჰემოსტაზი და კოაგულაცია, მიკრობიოლოგია და სხვა. კომპანია ჩართულია RfB გარე ხარისხის კონტროლის სისტემაში. იგი ემსახურება ვივო მედიკალ ჯგუფის საავამდყოფოებს, ასევე თბილისის სხვადასხვა საავადმყოფოსა და კლინიკას. კომპანიის ლაბორატორია მდებარეობს თბილისში, დიღომში, ჩაჩავას ქ.1.

კომპანიის მფლობელები 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არიან:

შპს „თბილისის ცენტრალური საავადმყოფო“	50%
შპს „ბოხუას სახელობის კარდიოვასკულარული ცენტრი“	50%
	100%

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

2.1. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის (მოგება-ზარალის), ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს.

კომპანია წარმოადგენს მოგება-ზარალის ანგარიშგებას ხარჯების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, რადგან თვლის, რომ ანგარიშგების მკითხველს უფრო გამოსადეგ ინფორმაციას აძლევს ეს მეთოდი, ვინაიდან იგი უკეთესად ასახავს თუ როგორ იმართება ოპერაციები ბიზნესის თვალსაზრისით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფორმატი ეფუძნება მიმდინარე/გრძელვადიან დაყოფას.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შეფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

როგორც ეს მე-15 შენიშვნაშია მოცემული, 2020 წლის დასაწყისიდან, მსოფლიო მასშტაბით გავრცელდა ახალი კორონავირუსი (ე.წ. COVID-19) რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა როგორც გლობალურ, ასევე ადგილობრივ ეკონომიკასა და ფინანსურ ბაზრებზე. თუმცა ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის აღნიშნულ ვირუსს მნიშვნელოვანი უარყოფითი პირდაპირი ეფექტი არ ჰქონია უშუალოდ კომპანიაზე. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიას არ გააჩნია ფუნქციონირებადობის საფრთხე და საქმიანობა გაგრძელდება ფინანსური ანგარიშგების თარიღიდან მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში.

2.2. ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

კომპანიამ ფასს 16 “იჯარა” პირველად გამოიყენა. აღნიშნული ახალი სტანდარტის გამოყენებით გამოწვეული ცვლილებები აღწერილია ქვემოთ.

სხვა მრავალი შესწორება და ინტერპრეტაცია შევიდა ძალაში პირველად 2019 წელს, თუმცა გავლენა არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას არ გამოუყენებია ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტი, რომლებიც გამოიცა, მაგრამ არ იყო ძალაში შესული.

ფასს 16 - იჯარა

ფასს 16 - იჯარის თავდაპირველი გამოყენების შედეგი

ფასს 16-ს შემოაქვს ახალი ან შესწორებული მოთხოვნები საიჯარო აღრიცხვასთან მიმართებაში. მას შეაქვს მნიშვნელოვანი ცვლილებები მოიჯარისთვის საოპერაციო და ფინანსურ იჯარას შორის განსხვავების მოხსნის გზით და ითხოვს აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების აღიარებას ყველა იჯარის დასაწყისში, გარდა მოკლევადიანი იჯარისა და დაბალი ღირებულების მქონე აქტივის იჯარისა. მეიჯარის აღრიცხვასთან დაკავშირებული მოთხოვნები დიდწილად უცვლელი რჩება. ფასს 16-ის მიღების გავლენა კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსური ანგარიშგებაზე აღწერილია ქვემოთ.

ამ ცვლილებებს მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია ფინანსურ ანგარიშგებაზე.

(ა) იჯარის ახალი განმარტების გავლენა

კომპანიამ ფასს 16-ზე გადასვლისას გამოიყენა ხელმისაწვდომი პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომა, რათა არ მომხდარიყო ხელახალი შეფასება იმისა, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. შესაბამისად, იჯარის განმარტების გამოყენება ბასს 17-ისა და ფასიკ 4-ის მიხედვით გაგრძელდება 2019 წლის 1 იანვრამდე დადებულ ან შესწორებულ ხელშეკრულებებთან მიმართებაში

იჯარის განმარტების ცვლილება ძირითადად უკავშირდება კონტროლის კონცეფციას. ფასს 16 განსაზღვრავს არის თუ არა ხელშეკრულება იჯარის შემცველი იმის საფუძველზე, აქვს თუ არა მომხმარებელს იდენტიფიცირებულ აქტივზე კონტროლის უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების სანაცვლოდ. ეს უპირისპირდება ბასს 17-სა და ფასიკ 4-ში მოცემულ აქცენტებს „რისკები და სარგებელი“-ს თაობაზე.

(ბ) გავლენა მოიჯარის აღრიცხვაზე

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

წინა საოპერაციო იჯარები

ფასს 16 არ ცვლის კომპანიებისთვის ისეთი იჯარების აღრიცხვის მეთოდს, რომელიც ადრე კლასიფიცირებული იყო როგორც საოპერაციო იჯარები ბასს 17-ის შესაბამისად და იყო ბალანსგარეშე ანგარიშზე.

2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დადებულ ხელშეკრულებებთან მიმართებაში, კომპანიამ მიიღო ფასს 16 იჯარის აღიარებიდან განთავისუფლების უფლება, ხელშეკრულებების მოკლევადიანობიდან გამომდინარე. ყველა მოქმედი კონტრაქტის ხანგრძლივობა წარმოადგენს 12 თვეს ან ნაკლებს და დასრულების შემდგომ არ ექვემდებარება ვადის გახანგრძლივებას.

მოკლევადიანი იჯარის (საიჯარო ვადა 12 თვე ან ნაკლები) და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარისთვის, კომპანიამ აირჩია საიჯარო ხარჯების აღიარება წრფივი მეთოდის საფუძველზე, როგორც ეს გათვალისწინებულია ფასს 16-ით.

2.3. შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება, როცა მოსალოდნელია, რომ ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს კომპანია და შემოსავლის გაზომვა საიმედოდაა შესაძლებელი.

სამედიცინო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება, როცა მომსახურების გაწევა დასრულებულია, ამ შემოსავლის მისაღებად გაწეული ხარჯების შესაბამისად. შემოსავალი არის მომსახურების საფასურად მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას გამოკლებული უკან დაბრუნებები, სავაჭრო ფასდაკლებები და გაყიდვებზე დამოკიდებული გადასახადები (ასეთების არსებობის შემთხვევაში).

2.4. ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებების, გარდა შენობებისა, აღრიცხვა ხდება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. შენობები აღირიცხება გადაფასებული ღირებულებით, რაც წარმოადგენს მათ სამართლიან ღირებულებას გადაფასების თარიღში მინუს დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი. გადაფასება ხდება საკმარისი რეგულარულობით, რათა ნარჩენი ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს სამართლიანი ღირებულებისგან საანგარიშგებო თარიღში.

თუ აქტივის ნარჩენი ღირებულება გაზრდილია გადაფასების შედეგად, ეს ზრდა აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და აკუმულირდება კაპიტალში გადაფასების რეზერვის სახელწოდებით. მაგრამ აღნიშნული ზრდა (არაუმეტეს ადრე აღიარებული შემცირებისა) აღიარდება მოგება-ზარალში თუ ამ ზრდამდე ადგილი ჰქონდა შემცირებას (ჩამოფასებას), რაც წინა პერიოდებში აღიარებული იყო მოგება-ზარალში.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

- | | |
|--------------------------|----------------|
| • სამედიცინო აღჭურვილობა | 15-20% წრფივად |
| • სხვა | 15-20% წრფივად |

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

- მიწა არ იცვითება

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურეობის ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

2.5. იჯარით აღებული აქტივები

იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა (ლიზინგი) თუ მფლობელობასთან დაკავშირებული რისკები და უკუგება მნიშვნელოვანწილად გადმოდის კომპანიაში. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება, როგორც საოპერაციო იჯარა.

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც წარმოიქმნება ფინანსური ლიზინგის კონტრაქტებიდან, თავდაპირველად აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით ან, თუ უფრო ნაკლებია, მომავალი სალიზინგო გადასახდელების მიმდინარე ღირებულებით.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ცვეთის პოლიტიკა არის საკუთრებაში არსებული ცვეთადი აქტივების შესაბამისი.

სალიზინგო გადასახადში შემავალი საპროცენტო ელემენტი აღიარდება მოგება-ზარალში.

საოპერაციო იჯარის საიჯარო გადასახდელები აღიარდება მოგება-ზარალში წრფივი მეთოდით, საიჯარო პირობების შესაბამისად.

2.6. არამატერიალური აქტივები

შემენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო გამოყენების ვადისა და ამორტიზაციის მეთოდის (15% შემცირებადი ნაშთით) გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

2.7. არაფინანსური აქტივების გაუფასურება

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, მოგება-ზარალის ანგარიშგების ხარჯებში გატარებით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას შორის უმეტესი. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ინდივიდუალური აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აქტივი არ წარმოქმნის ფულადი სახსრების შემოღინებას სხვა აქტივებისგან ან აქტივთა ჯგუფისგან დამოუკიდებლად. თუ ადგილი აქვს ასეთ შემთხვევას, ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის, რომელსაც ეკუთვნის აქტივი.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2.8. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილის საფუძველზე. დაუმთავრებელი და მზა პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს ნედლეულს, პირდაპირ ხელფასებს და ნორმალური ფუნქციონირების შესაბამის საწარმოო ზედნადებ დანახარჯებს.

მომძველებელი მარაგების ჩამოწერა ხდება მათი მომავალში მოსალოდნელი გამოყენების და წმინდა სარეალიზაციო ღირებულების ანალიზის შედეგად.

2.9. ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით, რაც განისაზღვრება გარიგების ფასით.

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიამ ფინანსური ინსტრუმენტები დააკლასიფიცირა, როგორც სესხები და მოთხოვნები. ეს ფინანსური აქტივები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (გარდა მოკლევადიანი მოთხოვნებისა, სადაც პროცენტი უმნიშვნელოა), რასაც გამოაკლდება გაუფასურებით ან უიმედო ვალად ცნობის შედეგად წარმოქმნილი ზარალი. გაუფასურების ინდიკატორების შეფასება ხდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. როგორც წესი, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, საბანკო ნაშთები და ფული კლასიფიცირდება ამ კატეგორიაში.

ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როცა ინვესტიციიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ამოიწურება ან გადაიცემა მფლობელობასთან დაკავშირებულ ყველა რისკთან და უკუგებასთან ერთად.

ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების თავდაპირველად აღიარებული ღირებულება ჩვეულებრივ არ იცვლება ხოლმე, ვინაიდან ვალდებულება ზუსტადაა ცნობილი და ანგარიშსწორება მოსალოდნელია მოკლე ვადაში.

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები იქვითება და წმინდა თანხის წარმოდგენა ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როცა არსებობს გაქვითვის იურიდიული უფლება და ანგარიშსწორების გაქვითულ თანხაზე წარმოების განზრახვა.

წილობრივი ინსტრუმენტები წარმოადგენენ ხელშეკრულებებს, რომლებიც ადასტურებენ კომპანიის აქტივებში მისი ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის უფლებას. წილობრივი ინსტრუმენტები აღიარდება ტრანზაქციიდან მიღებული თანხის ოდენობით, გარიგებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების გამოკლების შემდეგ.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებებად, მათი დეკლარირების მომენტში. როგორც წესი, დივიდენდები ვალდებულებებად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მტკიცდება მათი განაწილება აქციონერთა საერთო კრებაზე. შუალედური დივიდენდები აღიარდება გადახდისთანავე.

2.10. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც პირდაპირაა დაკავშირებული ბასს 23-ით განსაზღვრული განსაკუთრებული აქტივის შეძენის, მშენებლობის ან წარმოების პროცესთან, აისახება ამ აქტივის თვითღირებულებაში. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული სხვა დანახარჯების აღიარება ხდება ხარჯის სახით.

2.11. უცხოურ ვალუტაში გახორციელებული ოპერაციები

უცხოურ ვალუტაში არსებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები ანგარიშგების თარიღში გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში (ქართული ლარი, ლ), საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით:

	USD / ლ	EUR / ლ
გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბერს	2.87	3.21
საშუალო გაცვლითი კურსი 2019 წელს	2.82	3.16
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბერს	2.68	3.07
საშუალო გაცვლითი კურსი 2018 წელს	2.53	2.99
გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბერს	2.59	3.10

ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები ასახულია ტრანზაქციის თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად.

2.12. მოგების გადასახადი

2016 წლის 13 მაისს, საქართველოს პარლამენტმა დააკანონა მოგების გადასახადის ახალი („ესტონური“) მოდელი, რაც ძირითადად გულისხმობს მოგების გადასახადით დაბეგვრას მოგების დივიდენდად განაწილების შემთხვევაში (ნაცვლად მოგების დაბეგვრისა გამომუშავების მომენტში). შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიის დასაბეგრი მოგება არის გადახდილი დივიდენდების ტოლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და შესაბამისი გადასახადი აღიარდება პირდაპირ კაპიტალში გადახდილ დივიდენდებთან ერთად. ამრიგად, 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებულ წლებში არ არსებობს მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადი.

2.13. ანარიცხები (რეზერვები)

თუ წარსული მოვლენების შედეგად, საანგარიშგებო თარიღის მომენტისთვის კომპანიას აქვს მიმდინარე ვალდებულება (იურიდიული ან კონსტრუქციული) და სავარაუდოა, რომ კომპანია შეასრულებს ამ ვალდებულებას, მაშინ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხები. ანარიცხები ფასდება ვალდებულების დასაფარად საჭირო თანხით და დისკონტირდება მიმდინარე ღირებულებამდე განაკვეთით, რაც ასახავს დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და ამ ვალდებულებასთან დაკავშირებულ რისკებს მიმდინარე საბაზრო პირობებით. შეფასებებში ცვლილება აისახება შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან შეფასებებს და დაშვებებს კომპანიის სამომავლო ფუნქციონირებაზე. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვის და ფინანსური შედეგებისთვის.

მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი

კომპანია რეგულარულად ამოწმებს თავის სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს გაუფასურების შესაფასებლად. ბუღალტრული აღრიცხვის მიზნებისთვის ფასს 9-ის მიხედვით ანარიცხი დამოკიდებულია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე (ECL), რომელიც განისაზღვრება შემდგომი თორმეტი თვის განმავლობაში დეფოლტის ალბათობით, თუ არ მოხდა მნიშვნელოვანი ზრდა საკრედიტო რისკში წარმოშობის შემდგომ. თუ ფინანსური აქტივი შეესაბამება “შემენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების“ (POCI)-ის განმარტებას, ანარიცხი დამოკიდებულია ELC-ის ცვლილებაზე აქტივის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში.

დაკავშირებული მხარის ოპერაციები

ჩვეულებრივ, კომპანია აწარმოებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს, გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი სამართლიანი ღირებულებით. მსჯელობა გამოიყენება იმის გასასაზღვრათ, შეესაბამება თუ არა ტრანზაქცია საბაზრო თუ არა საბაზრო ღირებულებას, იმ შემთხვევაში, როდესაც მსგავსი ტრანზაქციისთვის არ არსებობს აქტიური ბაზარი. დაშვების საფუძველს წარმოადგენს მსგავსი ტრანზაქციების ღირებულება არადაკავშირებულ მხარეებთან.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადების გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან გარკვეული პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად კომპანია ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს აღნიშნული რისკი.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ანგარიშგების მომზადებისას არ არის გამოყენებული ისეთი სააღრიცხვო შეფასებები, რომლებიც დაკავშირებულია მომავალ ფინანსურ წელიწადში აქტივების და ვალდებულებების მიმდინარე ნაშთების არსებითი კორექტირების მნიშვნელოვან რისკთან.

შპს „თბილისის ცენტრალური ლაბორატორია“
 ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ათას ქართულ ლარში
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4. საოპერაციო შემოსავალი

	2019	2018
შემოსავალი ლაბორატორიული მომსახურებიდან	2 125	1 796
ფასდათმობა და კორექტირება	-78	-69
	2 047	1 727

5. ხარჯების გაშიფვრა მათი ბუნების მიხედვით

შემდეგი ცხრილი წარმოადგენს გაწეული მომსახურების თვითღირებულებას და საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს მათი ბუნების მიხედვით.

მომსახურების თვითღირებულება

	2019	2018
თანამშრომელთა კომპენსაცია	253	280
გამოყენებული მარაგები	695	707
ცვეთა და ამორტიზაცია	156	157
ლაბორატორიული და სხვა სამედიცინო მომსახურება	319	228
სხვა	1	8
	1 424	1 380

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2019	2018
თანამშრომელთა კომპენსაცია	239	216
სამეურნეო და საოფისე ხარჯი	12	9
ოფისის ქირა	102	93
IT ხარჯი	14	19
გაყიდვების ხარჯი	40	18
სხვა	28	10
	435	365

6. ფინანსური ხარჯი, წმინდა

	2019	2018
საპროცენტო ხარჯი ფინანსურ ლიზინგზე	3	9
საპროცენტო ხარჯი სესხზე	18	19
სულ საპროცენტო ხარჯი	21	28
მინუს: საპროცენტო შემოსავალი დაკავშირებულ მხარეებზე სესხებიდან	(5)	(24)
	16	4

შპს „თბილისის ცენტრალური ლაბორატორია“
 ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ათას ქართულ ლარში
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

7. ძირითადი საშუალებები

	სამედიცინო აღჭურვილობა	სხვა	სულ
ღირებულება			
1 იანვარი 2018	612	84	696
შეძენა	57	5	62
31 დეკემბერი 2018	669	89	758
შეძენა	1	-	1
გასვლა	(53)	-	(53)
31 დეკემბერი 2019	617	89	706
დაგროვილი ცვეთა			
1 იანვარი 2018	203	34	237
პერიოდის ცვეთა	130	16	146
31 დეკემბერი 2018	333	50	383
პერიოდის ცვეთა	128	15	143
გასვლა	(52)	-	(52)
31 დეკემბერი 2019	409	65	474
ნარჩენი ღირებულება			
1 იანვარი 2018	409	50	459
31 დეკემბერი 2018	336	39	375
31 დეკემბერი 2019	208	24	232

ცვეთის ხარჯი შედის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაში.

8. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგები შედგება წამლებისგან და სამედიცინო სახარჯი მასალებისგან.

შპს „თბილისის ცენტრალური ლაბორატორია“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ათას ქართულ ლარში

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.დეკ.19	31.დეკ.18
მოთხოვნები მფლობელი საწარმოებისგან	2 794	1 920
მოთხოვნები დაკავშირებული მხარეებისგან	80	225
სხვა სავაჭრო მოთხოვნები	119	102
სულ სავაჭრო მოთხოვნები, წმინდა	2 993	2 247
გადახდილი ავანსები	20	11
საგადასახადო აქტივი, წმინდა	14	15
მოკლევადიანი სესხები მფლობელ საწარმოებზე	-	264
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3 027	2 537

მოთხოვნების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არაა არსებითი.

მოთხოვნების უდიდესი ნაწილი წარმოადგენს მოთხოვნებს მფლობელი საწარმოებისა და დაკავშირებული მხარეების მიმართ მოთხოვნას.

10. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31.დეკ.19	31.დეკ.18
ფული სალაროში	1	1
ფული სს „თიბისი ბანკი“	8	-
ფული სს „საქართველოს ბანკი“	-	-
ფული სს „ბაზის ბანკი“	11	-
	20	1

11. მიღებული სესხები

		31.დეკ.19	31.დეკ.18
გრძელვადიანი სესხი სს „ბაზის ბანკისგან“ (USD 112)	8%	-	136
გრძელვადიანი სესხი სს „ბაზის ბანკისგან“ (GEL 180)	10,5%	139	-
ლიზინგი სს „თიბისი ლიზინგისგან“	9%	-	3
სულ გრძელვადიანი სესხები		139	139
სს „ბაზის ბანკისგან“ სესხის მოკლევადიანი ნაწილი (USD 112)	8%	-	59
სს „ბაზის ბანკისგან“ სესხის მოკლევადიანი ნაწილი (GEL 180)	10,5%	30	-
სს „თიბისი ლიზინგისგან“ ლიზინგის მოკლევადიანი ნაწილი	9%	4	65
მოკლევადიანი სესხები სხვა დაკავშ. მხარეებისგან	12%	-	9
სულ მოკლევადიანი სესხები		34	133

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.დეკ.19	31.დეკ.18
სავაჭრო ვალდებულებები მფლობელის მიმართ	11	-
სავაჭრო ვალდებულებები სხვა დაკავშირებული მხარეების მიმართ	2 144	1 700
სხვა სავაჭრო ვალდებულებები	116	168
მენეჯმენტისთვის ხელფასები	15	15
სხვა გადასახდელი ხელფასები	72	60
მიღებული ავანსები	1	1
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2 359	1 944

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არაა არსებითი.

სავაჭრო ვალდებულების უდიდესი ნაწილი წარმოადგენს ვალდებულებას დაკავშირებული მხარეების მიმართ.

13. ინფორმაცია ფინანსურ რისკებზე

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების განხორციელებისას, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი (დებიტორი) ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი (დავალიანება) ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის;
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით;
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. კომპანია ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის და სავალუტო რისკებს საბაზრო რისკის ძირითადი სამი კომპონენტიდან.

აღნიშნული რისკების ეფექტური მართვისთვის, კომპანია ეყრდნობა შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- საპროცენტო განაკვეთის, სავალუტო და საფასო რისკების მინიმიზაცია ყველა სახის ტრანზაქციებზე;
- „ბუნებრივი ჰეჯირების“ მაქსიმალური გამოყენება შემოსავლების და ხარჯების, მოთხოვნების და ვალდებულებების ერთ ვალუტაში დენომინირების მცდელობით. ანალოგიური სტრატეგია გამოიყენება საპროცენტო განაკვეთის რისკთან მიმართებაში;
- ფინანსური რისკების მართვის ღონისძიებები ხორციელდება გონივრულად და თანმიმდევრულად, ბაზრის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

ქვემოთ წარმოდგენილია კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები:

შპს „თბილისის ცენტრალური ლაბორატორია“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ათას ქართულ ლარში

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები	31.დეკ.19	31.დეკ.18
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3 027	2 537
ფული და ფულის ეკვივალენტები	20	1
	3 047	2 538

ფინანსური ვალდებულებები	31.დეკ.19	31.დეკ.18
სესხები	173	272
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2 359	1 944
	2 532	2 216

საკრედიტო რისკი

კომპანია აკონტროლებს საკრედიტო რისკს და ცდილობს მხოლოდ სანდო კონტრაგენტებთან ჰქონდეს ურთიერთობა. კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი:

	31.დეკ.19	31.დეკ.18
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3 027	2 537
ფული ბანკში	19	-
	3 046	2 537

ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

კომპანია მართავს ლიკვიდურობის რისკს მოსალოდნელი გადახდის ვადების საფუძველზე.

ქვემოთ წარმოდგენილია ფინანსური ვალდებულებები დარჩენილი საკონტრაქტო ვადების მიხედვით (საკონტრაქტო და არადისკონტირებული ფულადი ნაკადები).

	1 წელზე ნაკლები	1-დან 4 წლამდე	სულ
სესხები	34	139	173
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2 359	-	2 359
31.დეკ.19	2 393	139	2 532

	1 წელზე ნაკლები	1-დან 4 წლამდე	სულ
სესხები	133	139	272
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1 944	-	1 944
31.დეკ.18	2 077	139	2 216

ამჟამად კომპანია თვლის, რომ გადაიხდის ყველა ვალდებულებას საკონტრაქტო ვადაში. ამისათვის კომპანია ელოდება საკმარის ფულად ნაკადებს საოპერაციო საქმიანობიდან.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი ძირითადად ეხება საბანკო სესხებს (გ/შ 11). ბანკი იტოვებს უფლებას, გაზარდოს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი, მითითებული საკრედიტო ხელშეკრულებაში, თუ საბაზრო განაკვეთები გაიზრდება. მენეჯმენტი არ ელოდება საბაზრო საპროცენტო განაკვეთების არსებით ცვლილებას.

სავალუტო რისკი

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები იწვევენ სავალუტო რისკს. კომპანიას არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში, თუმცა ხელმძღვანელობა საკუთარ თავს მიიჩნევს კარგად ინფორმირებულად ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და ისინი დგამენ გარკვეულ ნაბიჯებს სავალუტო რისკის შესამცირებლად.

ფინანსური აქტივები ვალუტის მიხედვით:

	ლარი	აშშ. დოლარი	ევრო	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3 027	-	-	3 027
ფული და ფულის ეკვივალენტები	20	-	-	20
31.დეკ.19	3 047	-	-	3 047

	ლარი	აშშ. დოლარი	ევრო	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2 537	-	-	2 537
ფული და ფულის ეკვივალენტები	1	-	-	1
31.დეკ.18	2 538	-	-	2 538

ფინანსური ვალდებულებები ვალუტის მიხედვით:

	ლარი	აშშ. დოლარი	ევრო	სულ
სესხები	169	4	-	173
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2 347	11	1	2 359
31.დეკ.19	2 516	15	1	2 532

	ლარი	აშშ. დოლარი	ევრო	სულ
სესხები	-	272	-	272
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1 936	-	8	1 944
31.დეკ.18	1 936	272	8	2 216

შპს „თბილისის ცენტრალური ლაბორატორია“
 ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ათას ქართულ ლარში

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

სენსიტიურობის ანალიზი

ლარის გაცვლითი კურსის 20%-იანი გამყარება/გაუფასურება აშშ დოლარის მიმართ გაზრდის/შემცირების მოგებას 3 ლარით (2018: 56 ლარით).

14. დაკავშირებული მხარეები

	2019	2018
<i>ტრანზაქციების ოდენობა:</i>		
გაყიდვები მფლობელ საწარმოებზე	1 286	1 054
გაყიდვები მენეჯმენტის მიერ კონტროლირებულ საწარმოებზე	356	292
შესყიდვები მფლობელი საწარმოებისგან	9	-
შესყიდვები მენეჯმენტის მიერ კონტროლირებული საწარმოებისგან	938	426
მენეჯმენტის ანაზღაურება	89	89
<i>ნაშთები 31 დეკემბერს:</i>		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		
მენეჯმენტის მიერ კონტროლირებული საწარმოები	80	225
მფლობელი საწარმოები	2 794	1 920
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		
მენეჯმენტის მიერ კონტროლირებული საწარმოები	2 144	1 700
მფლობელი საწარმო	11	-

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

დივიდენდების გამოცხადება

2020 წელს კომპანიამ გამოაცხადა დივიდენდი 1 000 ლარის ოდენობით.

COVID-19

2020 წლის 11 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ახალი კორონავირუსით გამოწვეული რესპირატორული დაავადების აფეთქება გამოაცხადა “პანდემიად”. აღნიშნული ვირუსი, რომელიც პირველად იდენტიფიცირდა 2019 წლის ბოლოს და ცნობილია COVID-19-ის სახელწოდებით, შეეხო მილიონობით ადამიანს მთელ მსოფლიოში. საპასუხოდ, ბევრმა ქვეყანამ მიიღო ზომები ეპიდემიის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, რომლებმაც გავლენა მოახდინა გლობალურ ბიზნეს ოპერაციებზე.

ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღისათვის, აღნიშნულ მოვლენას კომპანიის ოპერირებაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია, თუმცა, კომპანია აგრძელებს სიტუაციის მონიტორინგს. 2020 წლის 28 სექტემბრის მდგომარეობით მას არანაირი ზიანი არ მიუღია, რადგან ადგილი არ ჰქონია ინიცირებულ მოვლენებს ან გარემოებების ცვლილებას.

კომპანია დგას COVID-19-ით გამოწვეული გარკვეული რისკების წინაშე, მათ შორის, და არა მხოლოდ:

- ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დაგეგმილი მანიპულაციის დაფინანსების გადადება

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

- დაავადების შესაძლო აფეთქებასთან დაკავშირებით საწოლის ფონდის მობილიზების გამო;
- გეგმურ სტაციონარულ სამედიცინო მომსახურებაზე მომხმარებელთა მოთხოვნის შემცირება საერთო ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე და პოლიტიკა "დარჩით სახლში, იყავით უსაფრთხოდ";
- ფულადი სახსრების შემოღინების შემცირება პაციენტების მიერ გეგმურ სტაციონარულ სამედიცინო მომსახურებაზე მომხმარებელთა მოთხოვნის შემცირების გამო.

ყოველივე ზემოაღნიშნულმა 2020 წლის მარტსა და აპრილში კომპანიას შეუმცირა ფულადი შემოღინებები, თუმცა მაისიდან დაუბრუნდა პანდემიამდელ მდგომარეობას.

კვლევების უმეტესობის მიხედვით, COVID-19-ის მოსალოდნელი გავლენა საქართველოს ეკონომიკის ზოგიერთ სექტორზე პოზიტიური იქნება. ეს დარგებია: ჯანდაცვა, ფარმაცია, ელექტრონული გაყიდვები. ამრიგად, საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში კომპანია არ ვარაუდობს ბრუნვის შემცირებას და ფინანსური შედეგების გაუარესებას.